

პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

- პრეტენდენტის პერსონალის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის მიზანია იმის შეფასება და განსაზღვრა, ჰყავს თუ არა პრეტენდენტს საჭირო ოდენობით სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პერსონალი, რაც აუცილებელია ამ სატენდერო დოკუმენტაციით შესასრულებელი სამუშაოს დროულად, სრულყოფილად და ხარისხიანად განხორციელებისათვის.
- პერსონალის ვინაობა:** პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია იმ ძირითად პერსონალზე, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებაზე, კერძოდ:
  - ვინც გაწევს ხელმძღვანელობას, კოორდინაციას თუ ზედამხედველობას;
  - ვინც იღებს ტექნიკურ გადაწყვეტილებას;
  - ვინც უშუალოდ ასრულებს სამუშაოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწილს.
- ინფორმაციის სახე:** პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ზემოაღნიშნული პერსონალის როგორც კვალიფიკაციის, ისე გამოცდილების შესახებ.
- კვალიფიკაცია:** პერსონალს უნდა ჰქონდეს იმ საქმიანობის შესაბამისი კვალიფიკაცია, რომელიც მან უნდა შეასრულოს ამ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს განხორციელებისას;
- ზოგადი გამოცდილება:** პერსონალს უნდა ჰქონდეს ზოგადი, თავისი კვალიფიკაციის შესაბამისი პროფესიული საქმიანობის გამოცდილება;
- ზოგადი გამოცდილების პერიოდი:** წინა პუნქტში მითითებული, ზოგადი პროფესიული გამოცდილება პერსონალს უნდა ჰქონდეს არანაკლებ იმ ოდენობით, როგორც ეს მითითებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში თითოეული პოზიციისათვის.
- სპეციალური გამოცდილება:** პერსონალს მათ შორის უნდა ჰქონდეს იმ საქმიანობის ანალოგიური / მსგავსი (როგორც შინაარსით, ისე მოცულობით და სირთულით) სამუშაო გამოცდილება, როგორც მან უნდა შეასრულოს ამ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს განხორციელებისას;
- დამადასტურებელი დოკუმენტები:**
  - პერსონალის კვალიფიკაციის დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს პერსონალის დიპლომების, სერტიფიკატების და მისთ. ასლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - პერსონალის როგორც ზოგადი, ისე სპეციალური გამოცდილების დასადასტურებლად წარმოდგენილი უნდა იყოს, სულ მცირე, თითოეული მათგანის რეზიუმე - ე.წ. CV, სადაც სრულყოფილად იქნება მოცემული ინფორმაცია პერსონალის გამოცდილების შინაარსზე (არამხოლოდ სამუშაო ადგილის ან პროექტის და თანამდებობის დასახელება, არამედ ამ პერსონალის მიერ გაწეული სამუშაოს მოკლე აღწერა).
  - დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს პერსონალის თითოეულ წარმომადგენელზე.

**შენიშვნა 1:** შესაძლებელია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წარმოდგენილი იქნას შრომითი კონტრაქტებისა თუ დანიშვნის ბრძანებების ასლები, ე.წ. შრომის წიგნაკის ასლი, ცნობები ყოფილი სამუშაო ადგილებიდან, წერილობითი დასტური ყოფილი დამსაქმებლისგან, პიროვნების მიერ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების დოკუმენტების ასლები თუ სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს და ავსებს CV-ში მოცემულ ინფორმაციას და ქმნის ერთიან სურათს პიროვნების სამუშაო გამოცდილების შესახებ.

**შენიშვნა 2:** შემსყიდველი უფლებამოსილია, ინფორმაციისათვის მიმართოს პრეტენდენტის იმ პერსონალს, რომელთა შესახებაც უთითებს პრეტენდენტი თავის სატენდერო წინადადებაში და მათგან მიღებული ინფორმაცია გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღებისას.

- ამ ტენდერისათვის საჭირო პერსონალის მინიმალური აუცილებელი სახეობა, ოდენობა და გამოცდილება :

სამშენებლო სამუშაოებზე :

N	პერსონალი	შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, არანაკლებ:	მინიმალური რაოდენობა
1	პროექტის მენეჯერი	5 წელი	1
2	გზების ინჟინერი	5 წელი	1

4	ინჟინერ-გეოლოგი	5 წელი	1
5	გეოდეზისტი	5 წელი	2
6	ელექტრიკოსი და განათების სპეციალისტი	5 წელი	1
7	სანიაღვრე და კანალიზაციის კომუნიკაციების სპეციალისტი	5 წელი	1
8	ხელოვნური საფარის მარკირების სპეციალისტი	5 წელი	1
9	შრომის უსაფრთხოების ინჟინერი	3 წელი	1
10	მასალით და ინვენტარით მომარაგებაზე პასუხისმგებელი პირი	3 წელი	1
11	სამუშაოთა მწარმოებელი (ე.წ. პრარაბი, ბრიგადირი)	3 წელი	2
12	მანქანა-მექანიზმების მექანიკოსი	3 წელი	1

**საპროექტო სამუშაოებზე :**

N	პერსონალი	ზოგადი პროფესიული გამოცდილება, არანაკლებ:	მინიმალური რაოდენობა
1	პროექტის მენეჯერი (გზების ან ნაგებობების ინჟინერი)	5 წელი	1
3	ხელოვნური ნაგებობების ინჟინერი	5 წელი	1
5	ინჟინერ-გეოლოგი	5 წელი	1
6	გეოდეზისტი	5 წელი	1
7	ელექტრიკოსი-განათების სპეციალისტი	5 წელი	1
8	სანიაღვრე და კანალიზაციის კომუნიკაციების სპეციალისტი	5 წელი	1

**შენიშვნა 1:** ზემოთ ჩამოთვლილია პერსონალის მინიმალური სახეობა და ოდენობა, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ზემოთ მოცემულ ცხრილზე აპელირებით მომწოდებელს შეუძლია არ ჰყავდეს სხვა სახეობის ანდა მეტი ოდენობის პერსონალი, თუ ეს საჭიროა მშენებლობის სათანადო ტემპის ანდა ხარისხის უზრუნველსაყოფად. პრეტენდენტს უნდა ჰყავდეს იმ კვალიფიკაციის და იმ რაოდენობის პერსონალი, როგორც ეს ესაჭიროება სამუშაოს დროულად, ეფექტურად და ხარისხიანად განხორციელებას.

**შენიშვნა 2:** მანქანა-მექანიზმების ოპერატორების და მუშა პერსონალის მონაცემების ტენდერში ატვირთვა, მათი დიდი ოდენობის გამო, არ არის აუცილებელი, თუმცა შემსყიდველს შეუძლია დამატებით გადაამოწმოს ეს ინფორმაცია.

**შენიშვნა 3:** თუ პრეტენდენტის მიერ მითითებულ სპეციალისტთაგან რომელიმე (განსაკუთრებით - პროექტის მენეჯერი) დაკავებული იყო ანალოგიური ან/და მსგავსი ფუნქციით შემსყიდველის მიერ ადრე გაფორმებული რაიმე სხვა კონტრაქტით განსაზღვრული სამუშაოების ფარგლებში და იმ ნაწილში არაჯეროვნად სრულდებოდა

